როგორ დავამზადოთ მარტივი სათამაშო

მოამზადა რუსუდან თედორაძემ

ჭურჭლის სარეცხი ღრუბელი არის რბილი და ელასტიური მასალა, რომლისგანაც შეგიძლიათ შექმნათ ხელნაკეთობათა მრავალფეროვნება. ეს შეიძლება იყოს როგორც მარტივი, ასევე შედარებით რთული სათამაშოები. ბავშვები დიდი სიამოვნებით მუშაობენ ამ მასალასთან. ცოტაოდენ გამომგონებლობასა და შემოქმედებითობას თუ ჩავრთავთ, შესაძლებელია ბევრი ორიგინალური და არასტანდარტული ნივთის დამზადება. მოსწავლის განწყობა უფრო ხალისიანი გახდება, როდესაც საკუთარი ხელით შექმნილ სათამაშოს დაინახავს. “უნიკალური ხელოსნობა“ ყველასათვის ხელმისაწვდომია და არ საჭიროებს სპეციალურ მომზადებას. ღრუბელთან მუშაობა ავითარებს ნატიფ მოტორიკას, აყალიბებს ესთეტიკურ გემოვნებას და საშუალებას აძლევს ბავშვს, დაინახოს სილამაზე ყოველდღიურ რუტინულ საქმიანობაშიც. ნარჩენების კრეატიული გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეებს, გაეცნონ გარემოსდაცვითი განათლებისა და ეკოლოგიური წიგნიერების საფუძვლებს სასწავლო პროცესში.

ხელნაკეთობების დამზადება აღაფრთოვანებს ბავშვებს და უბიძგებს მათ, შექმნან სხვადასხვა ნივთი. კეთების პროცესი სახალისოა; ბავშვები ღებულობენ საინტერესო გამოცდილებას და სასიამოვნო ემოციებს.

შემოგთავაზებთ, როგორ შევქმნათ სათამაშო "კატა" სწრაფად და ლამაზად. იდეა ძალიან მარტივია და ბავშვებს აუცილებლად მოეწონებათ. ხელნაკეთობის დამზადების დრო 15-20 წუთია.

სამუშაო მასალები:

- ღრუბელი;
- საკანცელარიო რეზინი (შესაძლოა სამაჯურის საქსოვი რეზინი);
- ატლასის ვიწრო ლენტი;
- მაკრატელი;
- ცხელი წებო;
- ქაღალდი (შესაძლოა მუყაო);
- ფერადი ფანქრები;
- პლასტმასის თვალები.

სამუშაოს მსვლელობა:

ნაბიჯი 1. რეზინის რგოლებით ვაკეთებთ „კატის“ ყურებს და თათებს.

ნაბიჯი 2. რეზინის საშუალებით ღრუბელს ვყოფთ ორ ნაწილად (თავი და ტანი).



ნაბიჯი 3. ვამზადებთ წებოს „რევოლვერს“ სამუშაოდ.

ნაბიჯი 4. ატლასის ლენტისაგან ვამზადებთ ბაფთას და ვამაგრებთ წებოთი.

ნაბიჯი 5. ვამზადებთ თვალებს და „სახეს“ (შეიძლება გამოიყენოთ მზა თვალები ან მოსწავლეებს დაახატინოთ).

ნაბიჯი 6. წებოს საშუალებით ღრუბელს მივაწებებთ თვალებს და სახეს. ფისუნიაც მზადაა.

თქვენ ახლა იცით, როგორ გააკეთოთ კატა ღრუბლისგან.

მიიღეთ შთაგონება და შექმენით სიამოვნებით!

საკუთარი ხელით ნივთის ნარჩენებისაგან დამზადება გაახარებს ბავშვებს. ეს იქნება შესანიშნავი საჩუქარი, სუვენირი, სათამაშო, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ სასკოლო სპექტაკლის დეკორაციად, ნაძვის ხის მოსართავად ან ბავშვებმა, უბრალოდ, გაახარონ მშობლები და მეგობრები.